2024 წლის 23 თებერვალს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ მორიგი სემინარი გაიმართა, რომელზეც შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ფილოლოგიის დოქტორმა - **ალექსანდრე თვარაძემ** წარმოადგინა მოხსენება თემაზე: ***„ქართული პოლიტიკური ერთეულების მმართველების იტინერარი (მმართველთა მიმოსვლის საკითხისთვის VIII-X საუკუნეებში)“.***

წარმოდგენილ მოხსენებაში განხილული იქნა VIII-X საუკუნეებში ქართული პოლიტიკური ერთეულების მმართველების იტინერარები. სათანადო თეორიული საფუძვლის სახით, იტინერარების კვლევასთან დაკავშირებით თავიდან საუბარი გახლდათ დასავლეთ ევროპაში არსებულ ვითარებაზე შესაბამისი კუთხით, იტინერარების კვლევისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე: წყაროები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია იტინერარების რეკონსტრუირება; მიმოსვლის (მეფის ადგილზე მისვლის, ადგილზე ყოფნის) საშუალებით მართვა; დედაქალაქი და მეფის გადაადგილების მეშვეობით სახელმწიფოს მართვის ფორმა; პფალცი (სასახლე, რეზიდენცია), სამეფო ქალაქი, საეპისკოპოსო ქალაქი, სამეფო მონასტერი; მეფის სტუმრობის საკითხი და აღნიშნული შემთხვევისთვის არსებული შესაბამისი ვალდებულებები; საბაზისო, სატრანზიტო, ახლო, დაშორებული რეგიონები; მეფის გადაადგილების სისწრაფე, ამალის და თანმხლებლების რაოდენობა; სამეფო დომენი და სამეფო საკუთრების საკითხი. ევროპული თეორიული მასალის საფუძველზე, მოტანილი იქნა ანალიზი შესაბამისი მონაცემების, VIII-X საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან მიმართებაში. ქართულენოვან მასალასთან დაკავშირებით დაზუსტდა აგრეთვე იტინერარების მარშრუტებზე არსებული შესაბამისი სავარაუდო გეოგრაფიული პუნქტების, იტინერარების მიზანდასახულობის და მიზეზების, იტინერარების ინიციატორის, მმართველების კონკრეტული მარშრუტების საკითხები.